
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის,
დადგენილება №41-ის მიხედვით
"შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის"
- 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული
რეგლამენტის "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების"

საექსპერტო დასკვნა



ქ.თბილისი, ნაფარეულის ქ. №12
579 999 917
21archstudio@gmail.com

მისამართზე: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობის II, III, IV მ/რ-ს მიმდებარედ ნაკვეთი №7 (ს/კ 01.14.16.015.479) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის:

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები" დადგენილებასთან შესაბამისობაზე.
- 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენთან "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" შესაბამისობაზე

საექსპერტო დასკვნა

დირექტორი:
ალექსანდრე ზაქარეიშვილი:

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

21 აპრილი 2022 წ.

შენიშვნები

1.საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" და 2020 წლის 4 დეკემბრის დადგენილება #732 "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილების ანალიზს.
2.საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე
3.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვლილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილებისას, რომელიც იქნება წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტთად შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.
4.სახანძრო უსაფრთხოების სისტემები და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სქემები, შემუშავებული და მოწყობილი უნდა იყოს NFPA სტანდარტისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" გათვალისწინებით.სისტემების მონტაჟი უნდა განხორციელდეს შესაბამისის ზედამხედველობის ქვეშ და დასრულების შემდგომ ჩაუტარდეს შემოწმება-რესტირება.
5.მშენებლობის პროცესში გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ასევე მათი სპეციფიკაციები და მოწყობის ტექნოლოგიები უნდა აკმაყოფილებდეს "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების"მოთხოვნებს.
6.აღნიშნული საექსპერტო დასკვნის მიზანია, დადგინდეს წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებისა" და 2020 წლის 4 დეკემბრის დადგენილება #732 "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" მიმართ.

პროექტის აღწერა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ფერდობების II,III,IV მ/რ-ს მიმდებარედ ნაკვეთი N7; ს/კ: 01.14.16.015.479 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.მისი ფართობია 3176 მ2. საპროექტო მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე. დასაგეგმარებელ ნაკვეთთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება მაღალი რელიეფურობით. დონეთა სხვაობა შეადგენს 25 მეტრს. დასაგეგმარებელი შენობისათვის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით და წინამდებარე დასკვნაში აღნიშნულის შესაბამისად დაიყო მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულები.
შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:
მიწის დონის ქვედა -1 სართული (-1.020 ნიშნულზე) - შემოზღუდული ავტოსადგომი.
მიწის დონის ზედა +1 – +6 სართულები (+1,98 - +18.48 ნიშნულზე) - საცხოვრებელი ბინები.
+21.78 ნიშნულზე - სახურავი.
დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.
საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით:
ყველა სართულზე მოწყობილია სახანძრო მილდგარების სისტემა; სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა; კვამლაღმომჩენები; კვამლის საკონტროლო სისტემა.
პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია სულ მცირე 2 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად პროექტში გათვალისწინებული შემდეგი ცვლილებები:

ბოლო სართულზე (+6 სართული) აივნებზე დაემატა გარე კიბეები, რომლებიც ადის სახურავზე, ხოლო აღნიშნული გამოყენებული იქნება საზაფხულო ფართად-ტერასად.

სექსპერტო დასკვნის შემადგენლობა.

1.დაკავებულობის დატვირთვის შეფასება.
2.კონსტრუქციის ტიპის შეფასება.
3.სიმაღლისა დაფართობის შეფასება
4.ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება.
5.ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება.
6.გასასვლელი საშუალებების შეფასება.
7.მისაწვდომობის შეფასება.
8.შიგა გარემოს შეფასება
9.გარე კედლების შეფასება.
10.სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაწილების შეფასება.
11.წყალსადენი სისტემების შეფასება
12.ლიფრების შეფასება
13.ავტოსადგომების შეფასება
14.მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შეფასება.

1.დაკავებულობის დატვირთვების შეფასება.

საპროექტო შენობაში განთავსებული თითოეული ტიპის დაკავებულობა აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.დაკავებულობები არის კლასიფიცირებული წესების მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
საპროექტო შენობაშ გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობები.

1.საცხოვრებელი ჯგუფი (სც-2) წარმოდგენილი პროექტით აღნიშნული დაკავებულობა გათვალისწინებულია შენობის +1 სართულიდან +6 სართულის ჩათვლით.აღნიშნულ დაკავებულობაში გაერთიანებულია შენობაში გათვალისწინებული საცხოვრებელი ერთეულები.წესების შესაბამისად აღნიშნული დაკავებულობა გამოიყენება მრავალბინიანი სახლებისთვის, საოჯახო სასტუმროებისა და მოტელებისთვის.
2.სასაწყობე ჯგუფი (სწ-2) წარმოდგენილი პროექტით სწ-2 დაკავებულობის გამოყენება გათვალისწინებულია შენობის -1 სართულზე, კერძოდ პარკინგისთვის.წესების მიხედვით აღნიშნული დაკავებულობას განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავროსადგომები, ასევე ელექტროძრავების და სხვა და სხვა ტიპის მცირე საფრთხის შემცვლელი ნივთების შესანახად.

დაკავებულობისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოყენებული დაკავებულობები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე სწორად არის შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრულია წესების 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.
შენიშვნა:ვინაიდან სავაჭრო ცენტრი "დომინო" წარმოადგენს შერეულის საქონლის ჰიპერმარკეტს, გამოსაფენი და დასაწყობებელი მასალებისა და საქონლის რაოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს წესების 307.1.ქვეთავის მოთხოვნებს

2.ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების ცხრილი 503-ის შესაბამისად საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის მიხედვით (ცხრილი 721.1) შენობაში არსებული დაკავებულობებისა და შენობის სიმაღლისან გამომდინარე, შენობისთვის შერჩეულია Ⅲ-B ტიპის კონსტრუქცია.ცხრილი 503-ის შესაბამისად აღნიშნული ტიპის კონსტრუქციისთვის, შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 23 მეტრით, ხოლო საპროექტო შენობის სიმაღლე შეადგენს 22 მეტრს, ამასთანავე შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს +18.48 ნიშნულზე.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები, მათ შორის ,ზიდი კონსტრუქციისა და სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601-ე ცხრილის შესაბამისად.721 ქვეთავის მიხედვით გამოსაყენებელი მასალის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს:

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოსა და მზიდი ჯედლების, მინიმუმ 2 საათი.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილებისთის, მინიმუმ საათი.
- სახურავის კონსტრუქციისთვის, მინიმუმ 2 საათი.
- გარე ჯედლები, ცხრილი 602 და ქვეთავი 705.8 შესაბამისად 2 საათი.

აღნიშნული მაჩვენებლები შეესაბამება 601 და 602 ცხრილებში, შერჩეული კონსტრუქციული ტიპისთის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობის ხარისხს.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოსაყენებელი მასალების, ასევე დაკავებულობებისა და სიმაღლის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული კონსტრუქციული ტიპი, და აღნიშნული აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

3.ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ.

საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე. მიწის დონე გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის
საზღვარს შორის 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.

საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან ნაკლებია 48.8 მეტრზე და შენობაში განთავსებულია
მიწის დონის ქვედა 1 და მიწის დონის ზედა 6 სართული.

სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:

მიწის დონის ქვედა -1 სართული----------ჯგუფი სწ-2 (967,3 მ^2)
მიწის დონის ზედა +1 - +6 სართული----------ჯგუფი სც-2 (1106 მ^2).

საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის,
ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობების ფართობი განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს მე-5 თავის 503 ცხრილის მოთხოვნებს.როგოც აღინიშნა შენობის კონსტრუქციულ ტიპად არჩეულია III-B, რომლისთვისაც ცხრილი 503-ის შესაბამისად არ არის შეზღუდული შენობის სიმაღლე, სართულიანოდა ან ფართობი.

4.ცეცხლისა და ჯვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება.

აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.

გარე კედლებში არსებული ღიობები შვეულად გამიჯნულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, შვეული გამიჯვნა უზრუნველყოფილია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის 90 სმ-ზე მეტი სიმაღლის გარე კედლებით და 76 სმ-ზე მეტი, 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კონსოლური ნაშვერებით.

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

შენობას გააჩნია პარაპეტი, 1 მეტრი სიმაღლის. შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას. შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.

დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.

შენობის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთდაცულ ნაწილებად ფორმირების მიზნით. თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.

ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება, ვინაიდან ღიობის დამცავი ცეცხლმედეგი კარია, რომელიც შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებს ემსახურება,თანახმად 707.6 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.

საცხოვრებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც შეესაბამება 708.1 და 420.2 ქვეთავების მოთხოვნებს. ასეთი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, თანახმად 708.3 ქვეთავისა.

საცხოვრებელი ერთეულების მომსახურე დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს, რაც აღემატება 708.1 ქვეთავის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.

თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5
ცხრილის შესაბამისად.

ცეცხლისა და ჯვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული ხანძრისგან დაცვის სისტემები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

903.2.8 ქვეთავის მიხედვით შენობის არც ერთ ნაწილს არ მოეთხოვება ავტოსაშხეფი სისტემა.
905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.
▪ თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.
თანახმად 905.4 ქვეთავისა:
- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, I კლასის მილდგარები განთავსებულია სახანძრო სამსახურის მიერ მოთხოვნილ ადგილებში (დერეფნებში).
- მისაერთებელი უნდა განთავსდეს გზა-კიბის ყველაზე მაღალ ბაქანთან, რომელიც სახურავს უკავშირდება კიბით, რაც საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. I კლასის მილდგარი განთავსებულია სახურავის გასასვლელთან არსებულ ბაქანზე.
გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.
905.5 ქვეთავის შესაბამისად - I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და
ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების სართულებზე, საერთო სარგებლობის დერეფნის საზღვრებში და შემოზღუდული ავტოსადგომის ფართობზე.
გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი ავტოსაშხეფი სისტემა: სახანძრო მილდგარების სისტემა.
ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სწ-2, და სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.
სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, დაყენებულია სც-2 ჯგუფისთვის, 907.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით.
ასეთი კოლოფები განთავსებულია სც-2 კგუფის სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. საერთო გამოყენების ფართობზე, სც-2 ჯგუფისათვის განკუთვნილ დერეფნებში, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას. ასევე სც-2 ჯგუფის საძინებლებში და საძინებლების შესასვლელებთან განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.2 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ ყველა სართულზე ლიფტის შახტის შესასვლელებთან, მოწყობილია კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლითაც (სახანძრო განგაშის სისტემასთან ერთად) უნდა გააქტიურდეს ლიფტის დაწნევის სისტემა, რაც შეესაბამება 909.21.6 ქვეთავის მოთხოვნას.
ლიფტების შახტი უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით
საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.

▪ სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია ეზოში სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და
ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ მისაერთებელთა დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება
912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ რადგან შენობაში არ ფიქსირდება ვტოსაშხეფი სისტემა შესაბამისად არ არის მოწყობილი სახანძრო
ტუმბოებიც.

ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში გათვალისწინებული ხანძრისგან დაცვის სისტემები აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს,

შენიშვნა:903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს შესაბამისი NFPA სტანდარტებით, თუმცა 102.3 ქვეტავის შესაძლებელია სხვა სტანდარტის გამოყენებაც.ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი უნდა განხორციელდეს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.აუცილებელია სახანძრო განგაშის სისტემების დაყენების შემდგომ მოხდეს მათი შემოწმება-ტესტირება, შესაბამისი NFPA სტანდარტებით და ზედამხედველობით.სახანძრო სამსაშველო სამსახურების მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განტავსდეს ისე, რომ იყოს ადვილად დასანახი და ამოსაცნობი, და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

6.გასასვლელი საშუალებების შეფასება.

თანახმად 1021 ქვეთავისა, თითოეულ სართულს ემსახურება ორი გასასვლელი.
თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1.1 ქვეთავის მოთხოვნა, ყველა სივრცის დაკავებულობის დატვირთვა ნაკლებია 500-ზე.
გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით), რაც ასევე ნაკლებია 1007.3 ქვეთვით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად მისაწვდომი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უნდა იყოს სულ მცირე 1.20 მეტრი. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.20 მეტრს, ხოლო თავისუფალი სიგანე კედლიდან მოაჯირამდე განსაზღვრულია 1.36 მეტრის სახით.
გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.25 მეტრს.
გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1

ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 1.25 მეტრია.

სართულების მომსახურე გასასვლელი საშუალება წარმოადგენს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს, რაც დასაშვებია 1022 ქვეთავის თანახმად. გზა-კიბე შემოზღუდულია 1022.2 ქვეთავის შესაბამისად. ორივე შიგა გასასვლელის გზა-კიბე პირდაპირ შენობის გარეთ გადის შენობიდან გამოსასვლელის დონეზე, რაც შეესაბამება 1027.1 ქვეთავს.

სახანძრო ტუმბო:

1015.2.1 ქვეთავის მიხედვით ყველა სივრცეში და სართულზე დაცულია გასასვლელებს შორის მანძილი.

გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც
შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯელების სიღრმე
განსაზღვრულია 28 სმ-ით, ხოლო ამაღლება 16 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება
დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენობის სახურავზე მიდგომა ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.

იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობას 1021 ქვეთავის შესაბამისად ემსახურება ორი
გასასვლელი, ორივე გასასვლელი მისაწვდომია, თანახმად 1007.1 ქვეთავისა. მისაწვდომი გასასვლელი საშუალება მოიცავს გზა-კიბეებს, თანახმად 1007.2 ქვეთავისა. ვინაიდან გზა-კიბეები
წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელ საშუალებას, მათი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1,20 მეტრს და იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მოიცავს თავშესაფრის ფართობს, რაც შეესაბამება 1007.3 ქვეთავის მოთხოვნას. თავშესაფრის ფართობამდე მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 1016.1 ქვეთავით განსაზღვრულ მაქსინალურ მაჩვენებლებს. თავშესაფრის ფართობის რაოდენობა და მისი ზომა შეესაბამება 1007.6.1 ქვეთავის მოთხოვნას და უტოლდება სართულზე ორ ერთეულს 76 სმ X 1,3 მ.-ის სახით. ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცე არ ამცირებს გზა-კიბის აუცილებელ სიგანეს.

გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.

გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

▪ გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომებისა და გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული კომპონენტები შესრილებულია წესების მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს,

7.მისაწვდომობის შეფასება.

თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები,
ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო
შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

▪ მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

▪ თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების
მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის
ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს.
თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს,
დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო
დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის
ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

▪ საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის
მოთხოვნას.

▪ ავტოსადგომები უზრუნველყოფილია 1106.1 ცხრილის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით და მისაწვდომი სივრცეების რაოდენობა განსაზღვრულია
თითოეული ავტოსადგომისათვის ცალ-ცალკე.

▪ თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე, ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს. მიკროავტობუსისათვის მისაწვდომი სივრცე განთავსებულია -1 სართულზე, ღია ავტოსადგომზე. მიკროავტობუსისათვის განსაზღვრული პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული
სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

▪ მისაწვდომი შესასვლელიდან მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მდებარეობს უმოკლეს მისაწვდომ სვლაგეზზე, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნას.

▪ საპროექტო შენობაში განთავსებულია ხანგრძლივად საცხოვრებელი ერთეულები და მათი ორი პროცენტი წარმოადგენს „ა“ ტიპის ერთეულს, ხოლო ყველა დანარჩენილი „ბ“ ტიპის ერთეულს, რაც შეესაბამება 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნებს. „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულები

დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად. იხილეთ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.
▪ მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს
„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.
▪ შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს, პანდუსებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტთან, შენობიდან გამოსასვლელი დონის გარდა ყველა სართულზე, მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ ორმხრივი კავშირის სისტემა მოწყობილია გზა-კიბის საზღვრებში თავშესაფრის ფართობთან, რაც
აკმაყოფილებს 1007.8 და 1007.6.3 ქვეთავების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი
კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ
საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის
საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.
▪ თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“.
ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.
▪ თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების
მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს,

8.შიდა გარემოს შეფასება.

საცხოვრებელი ბინების საცხოვრებელი ფართობები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ
სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4,ნ 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
რაც შეეხება საცხოვრებელი ერთეულების აბაზანებისა და ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები
ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
ღია ავტოსადგომი ნიავდება ბუნებრივად, რაც შესაბამისობაშია 406.5.2 ქვეთავთან.
+1 დან +6 სართულის ჩათვლით მდებარე დერეფნები ნიავდება მექანიკურად.
საცხოვრებელი ერთეულების საცხოვრებელი ფართობები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, რაც შეესაბამება 1205.1 ქვეთავს. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში.
გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზაკიბის თითოეული სართულის დონეზე, ავტოსადგომის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებშითითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს. ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც

დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას და აღემატება ამ შემთხვევისთვის სავალდებულო მინიმალურ 3,5 მეტრის მანძილს. საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა გეგმაში არ არის 2.2 მ-ზე ნაკლები. სამზარეულოებს აქვთ 90 სმ-ზე მეტი სიგანის თავისუფალი გასავლელი, რაც შეესაბამება 1208.1 ქვეთავის მოთხოვნას.თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.
ყველა საცხოვრებელ ერთეულს აქვს არანაკლებ, 14,0 მ 2 ფართობის ერთი ოთახი მაინც. სხვა საცხოვრებელი ოთახების იატაკის სუფთა ფართობი აღემატება 7,0 მ²-ს, რაც შეესაბამება 1208.3 ქვეთავს. საპროექტო შენობაში განთავსებული კომპაქტური ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (სტუდიოები) აკმაყოფილებს 1208.4 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:
ერთეულის დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე საცხოვრებელი ოთახის იატაკის მინიმალურ ფართობს 20,5 მ²-ის სახით, დამატებული აქვს 9,5 მ² და მინიმალური სუფთა ფართობი □ანსაზღვრულია 30 მ²-ის სახით; 30 მ²ის გარდა საცხოვრებელ ერთეულს აქვს შემდეგი ფართობები: ერთეულს აქვს ტანსაცმლის იზოლირებული სათავსი;
ერთეულში განთავსებულია სამზარეულოს ნიჟარა, საჭმლის მოსამზადებელი ქურა და მაცივარი, ხოლო მათ წინ თავისუფალი სამუშაო სივრცე აღემატება 80 სმ-ს. ასევე განათება და განიავება მოწყობილია წესების შესაბამისად;საცხოვრებელ ერთეულს ემსახურება დამოუკიდებელი სააბაზანო უნიტაზით, ხელსაბანი ნიჟარითა და აბაზანით.

9.გარე კედლების შეფასება.

გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან
წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავისშესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
▪ გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით,რომლის შესაბამისად გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით.ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 1403.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება გარე კედლის საფრებს, შენობის ფასადები ნაწილობრივ მოპირკეთდება
